ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1058785

ნომერი: AR1186327

თარიღი : 23.12.2013

გაცემის თარიღი : 13.01.2014

გაცნობის თარიღი : 13.01.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , N 5ა / ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , N 5-ა , (ნაკვეთი N10/68) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , N 5-ა , (ნაკვეთი N10/67) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ავთანდილ ლაგვილავა პ/ნ 01015009816
- თბილისი ა.ბ.ზ.–2 დას.

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. ,,ბერკეტი" კოდი: 203837036

ნომენკლატურა :
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

2013 წლის 23 დეკემბერს ქალაქ თბილისისმერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – თბილისის არქიტექტურის სამსახურს AR1186327 ელექტრონულიგანცხადებით მომართა მოქალაქე ავთანდილ ლაგვილავამ და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოითხოვა ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, ბელიაშვილის ქ. #5ა–ში, შპს ,,ბლოკი 2003“–ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით #01.13.03.010.123, სამეურნეო ობიექტი და მისი ფუნქციონირებისთვს განკუთვნილი ადმინისტრაციული შენობა, საყოფაცხოვრებო სათავსები, სახელოსნოები, გარაჟები და საწყობების ასაშენებლად, №1027065 (13.12.13.) გადაწყვეტილებით გაცემულ მიწის

ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა ობიექტის დასახელების შეცვლით ავტოგაზგასამართი სადგურის ფუნქციით.

მიწის ნაკვეთზე დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი რუკის მიხედვით ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), რომელიც მდებარეობს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში და მოიცავს გამწვანებულ ტერიტორიას (მაგ.: პარკი, ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი), ღია სათამაშო მოედნებს და მსგავსი ტიპის სხვა ტერიტორიებს. სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2)–ში მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტია (კ-1) – 0,2.

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება #4-13 ,,ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები”-ს მიხედვით სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2)–ში მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება ავტო გაზგასამართი სადგურის ფუნქციით არ არის დაშვებული.

საქართველოს ზოგადიადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თახმად ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. უარი ეთქვას მოქალაქე ავთანდილ ლაგვილავას ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, ბელიაშვილის ქ. #5ა–ში, შპს ,,ბლოკი 2003“–ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდით #01.13.03.010.123) ავტოგაზგასამართი სადგურის ფუნქციით სამშენებლოდ განვითარების თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.